



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 28.02.20 წლის №140/19¹

გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ლალი ჟორჯოლიანი (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორი წარმოადგენს მოსარჩელე მხარის ადვოკატს, ხოლო მოპასუხე ადვოკატი იცავს მოწინააღმდეგე მხარეების ინტერესებს. მას შემდეგ, რაც ის დაუკავშირდა მოპასუხე ადვოკატს სადავო ავტომანქანის გადაფორმების მიზნით, მოპასუხე ადვოკატმა მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. კერძოდ, მის მიმართ გამოიყენა შემდეგი ფრაზები: „ხარ არაკვალიფიციური ადვოკატი, არ გესმის საქმე, შეგყავს შენი კლიენტი შეცდომაში“, „...შენი უცოდინრობის გამო აზარალებ“, „...შენ თაღლითობ“. საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა მოპასუხე ადვოკატის მიერ შედგენილი შესაგებელი და შეგებებული სარჩელი და მიუთითა ფრაზეოლოგიაზე, რაც მისთვის მიუღებელია: „...ამ ყველაფერში ლომის წვლილი მიუძღვის ადვოკატს“; „...კვლავ რაღაც მაქინაციებით სცადა, რომ თქვენ გამოგეტანათ დაუსწრებელი გადაწყვეტილება“; „შეთანხმების შემდეგ მოულოდნელად უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ მან აიყვანა ადვოკატი და მასთან კონსულტაციას გაივლიდა, რის შემდეგაც მკაცრი უარი განაცხადა...“; „ადვოკატი გაეხვა მათ მიერ დაგეგმილ სპექტაკლში და მანამდე ხომ დათანხმდა გადაფორმებაზე, ახლა უარი განუცხადა“; „...მოიფიქრეს არარსებული ფაქტობრივი გარემოებები გადმოეცათ იმ სიყალბეზე“; „ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მოსარჩელემ და მისმა წარმომადგენელმა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მხარეებს შორის არსებული დავის თაობაზე, შეგნებულად, არასწორად მიუთითეს კ. ჩ.-ის მისამართი“; „რატომღაც არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებს თავად ადვოკატი, თორემ მე თავად ს. მ.-თან იმდენი საქმე არ მაქვს, რამდენადაც ადვოკატთან მაქვს პრობლემა“. მოპასუხე ადვოკატმა უარყო შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი და აქეთ დაადანაშაულა საჩივრის ავტორი, სასამართლოში გამართულ სხდომაზე, მისი და მისი კლიენტის შეურაცხყოფაში. მისი განმარტებით, საჩივრის ავტორმა მის კლიენტს მიმართა შემდეგი ფრაზებით: „შენ რა უნდა გელაპარაკო ავადმყოფი ხარ, დღეს თუ ხვალ აღარ იქნები და პირადად შენი ძმა დამალაპარაკე“. საჩივრის ავტორი ადვოკატი უარყოფს მოპასუხე ადვოკატის ბრალდებას და ამბობს, რომ არც მას მიუყენებია შეურაცხყოფა მოპასუხე ადვოკატისათვის და არც მის კლიენტს, რადგან ის არცერთ პროცესს არ დასწრებია.

პროცესუალური ისტორია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა მომჩივანმა ადვოკატმა მოპასუხე ადვოკატის წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

სამართლებრივი შეფასება

სასპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის შესაძლო დარღვევის თაობაზე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი). ადვოკატი კოლეგების მიმართ უნდა ავლენდეს ურთიერთპატივისცემას და მსგავსი ურთიერთობა უნდა შენარჩუნდეს საპროცესო დაპირისპირების დროს. ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვა შესაძლოა კონკურენციაში მოვიდეს კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპთან. ასევე მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობის ხსენება, რომლითაც ადვოკატები სხვა

¹ <https://gba.ge/pdf/620e491f01126.pdf/140.19,%20ar%20aghdzvra,%2028.02.20.pdf>

მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ. ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევა, რადგან პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა სხვა პირის ცილისწამებისათვის(სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 13). კომისია კი აფასებს ადვოკატის მიერ მორე ადვოკატის მისამართით წარმოთქმული ფრაზების ეთიკურობას და აუცილებელია გაიმიჯნოს განცხადება შემცველია ფაქტის თუ აზრის. საჩივრის ავტორის პრეტენზიას წარმოადგენს კოლეგა ადვოკატის მიერ მის მიმართ წარმოთქმული ფრაზები, ამ უკანასკნელის პოზიციით, მის მიერ გამოთქმული აზრი გამომდინარეობს კლიენტის ინტერესების დაცვიდან. კოლეგიამ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ არ უმსჯელიათ საჩივრის ავტორის თქმით, ადვოკატის მიერ მის მიმართ განხორციელებულ შეურაცხყოფაზე სატელეფონო საუბრისას, რადგან საქმეში არ ყოფილა არანაირი მტკიცებულება წარმოდგენილი ამ ფაქტთან დაკავშირებით. ადვოკატი არ არღვევს კოლეგიალობის პრინციპს, როდესაც იყენებს შემდეგ წინადადებას-„ლომის წვლილი მიუძღვის“, „რადაც მაქინაციებით სცადა“, რადგან ეს არ ცდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, გამოხატულია აზრის ფორმით და არ არის უხამსი ან ძალადობრივი ფრაზები. ასევე ასეთ ფრაზებს არ წარმოადგენს საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებიც. რაც შეეხება ადვოკატის მიერ შესაგაბელში მითითებულ წინადადებას „განხორციელებულ კიდევ ერთ თაღლითობის კლასიკურ მაგალითს“ აქ გასარკვევია თუ რამდენად ექცევა ეს გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებში. სიტყვა „თაღლითი“ მიუთითებს სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ქმედებას, და მსგავსი ტერმინის გაჟღერების დროს განმცხადებელი უნდა მიუთითებდეს მის ნამდვილობას. მოცემულ შემთხვევაში ეს ტერმინი კონკრეტულად არ მიემართებოდა მომჩივანს, მითითება გაკეთებულია ერთზე მეტი პირის მიმართ და პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეს მიერ განხორციელებულ ქმედებას აფასებს თაღლითობის კლასიკურ მაგალითად. ამ შემთხვევაში ეს ტერმინი არის გადაჭარბებული, თუმცა გადმოცემულია აზრის სახით და ის შეიცავს შეფასებით მსჯელობას და ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ უფლებაში. ადვოკატი ამბობს, რომ მას საჩივრის ავტორთან აქვს პრობლემა. მსგავს განცხადებას არ შეუძლია დააზიანოს საჩივრის ავტორის პატივი და ღირსება, რადგან ეს არის ადვოკატის აზრი და არ არის გამოხატული უხამსი ფორმით. ადვოკატები სარგებლობენ ექსკლუზიური უფლებით სასამართლოს სხდომათა დარბაზში ადვოკატებს შორის დამაბული შეპაექრების დროს გამოთქმული არგუმენტების გაჟღერებისას, რაც ემსახურება კლიენტის საქმეზე სამართლიან განხილვას. შესაბამისად, არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მის მიერ გამოყენებული ფრაზები არ არის საჩივრის ავტორის პატივისა და ღირსების შემლახავი.

დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ გადაწყვიტა ადვოკატის მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან ვერ დაადგინა ადვოკატის მხრიდან ისეთი ქმედების განხორციელება, სადაც ადგილი ექნებოდა კოლეგიალობის პრინციპის (ეთიკის კოდექსი, მუხლი 7) დარღვევას.